Guria Fruits

გადასამუშავებელი ინკუბატორი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხმაში, დავით კობიძის მეღვინეობის მახლობლად, შეგიძლიათ იპოვოთ ხილის გადასამუშავებელი საერთო ინფრასტრუქტურა, გურიის ხილის ბრენდის ქვეშ.

ინფრასტრუქტურა სრულად მომზადებულია, რათა გადაამუშაოს და შემოსავლის წყაროდ აქციოს ადგილობრივად წარმოებული მცირე რაოდენობის ხილი. ეს გახლავთ არამომგებიანი ინფრასტრუქტურა, თუმცა თქვენ მოგეთ ხოვებათ დაფაროთ ელექტროენერგიის ხარჯები და დაასუფთაოთ ქონება. შედეგად, დახმარება გაეწევა ადგილობრივ სასოფლო მეწარმეობას, რაც რეგიონს მეტად წაადგება.

აღჭურვილობა შეძენილ იქნა, რათა მოემსახუროს გურიის მოსახლეობას და მოახდინოს პოლონური მიდგომებისა და საერთო არამომგებიანი ინფრასტრუქტურის პოპულარიზაცია. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ კიდევ გჭირდებათ რაიმე სახის აღჭურვილობა, რაც ხელს შეუწყობს თქვენი მიკრო-ბიზნესის განვითარებას. მოხარულები ვიქნებით გავიზიაროთ თქვენი იდეები.

პროექტი სახელწოდებით *გურიის ხილი* ხორციელდება პოლონეთში მდებარე ტარჩინისა და საქართველოში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მიერ, მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად. ორივე მუნიციპალიტეტს გააჩნია მსგავსი დამახასიათებელი თავისებურებები და გამოწვევები: მრავალფეროვანი ხილის წარმოება, ხეხილის ბაღები, ყურადღების გამახვილება ტრადიციულ სახეობებზე და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მხარდაჭერა. პროექტის მიზანია წაახალისოს დარგთაშორისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებსა და აგრარულ ბიზნეს სექტორს შორის, რაც მხარდაჭერილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პროექტს აქვს პრაქტიკული ხასიათიც და დაგეგმილია გრძელვადიანი თანამშრომლობის სახით. დაარსდა ადგილობრივი ხილის გადამამუშავებელი ინკუბატორი, რომელიც შეიქმნა და აღიჭურვა საერთო ხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, რათა წაახალისოს ადგილობრივი თანამშრომლობა და საზოგადოების განვითარება. აღნიშნული ინკუბატორი დაარსდა გურიის ხილის ბრენდის ქვეშ, რომელიც მართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის-გურული ვაზისა და ღვინის კლასტერის მიერ. შეიქმნა და წახალისებულია ხარისხის სერტიფიკატი და ხარისხიანი საკვების საერთო ბრენდირება ისევე, როგორც მიკვლე-ვადობის საშუალებები.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პოლონური დახმარება 2023-ის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მითითებულ მისამართზე:
info@guriafruits.ge

Tarczyn GMINA NATURALNIE ATRAKCYJNA

Polish aid